# ინფორმაცია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ ხელმისაწვდომი გახდება



**ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება – ასეთი ვალდებულება გათვალისწინებულია „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ კანონპროექტით.**

სიახლის ინიციატორი საქართველოს მთავრობაა და პროექტის ინიცირება საქართველოს პარლამენტის ბიუროს დღევანდელ სხდომაზე მოხდება.

პროექტით განისაზღვრება, რომ საჯარო ინფორმაცია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების კონცენტრაციების შესახებ სულ მცირე, უნდა მოიცავდეს მონაცემებს კონცენტრაციების გადაჭარბების დონის შესახებ, მათ შორის, ზღვრულ მნიშვნელობებს, საგანგაშო ზღვრებს, შეტყობინების ზღვრებს ან გრძელვადიან ამოცანებს რეგულირებადი დამაბინძურებლების შესახებ.

მთავრობაში განმარტავენ, რომ ცვლილებები მომზადებულია ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში.